განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2021 წლის 27 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2021 წლის 10 ნოემბერი

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	კავკასიის უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციოლოგიის ბაკალავრი 0314
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	იაგო კაჭკაჭიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ დალაქიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

1. ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კავკასიის უნივერსიტეტში სოციოლოგიის საბაკლავრო პროგრამა აკრედიტებულია 2013 წლიდან და უზრუნველყოფს სოციოლოგიის დარგისთვის საბაზო და სისტემური ცოდნით აღჭურვილი კურსდამთავრებულების მომზადებას. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა საკუთარი მიზნებით, სტრუქტურითა და შინაარსით შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონთან და კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან.

სოციოლოგიის საბაკალვრო პროგრამა მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც, ერთი მხრივ, ექნებათ თეორიული კვლევების განხორციელებისთვის საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები და მეორე მხრივ, გამოყენებითი კვლევის დაგეგმვა-განხორციელებისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ წვლილი შეიტანონ სოციოლოგიის დარგში განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში და ამისთვის გამოიყენონ სოციოლოგიის მიმართულებით არსებული უახლესი ლიტერატურა და სამეცნიერო კვლევების მონაცემები. პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ გამოყენებითი კვლევების ჩატარებას და მონაცემზე დაფუძნებული რეკომენდაციების გაცემას, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სტარეგიების შემუშავებასა თუ სამოქმედო ნაბიჯების განსაზღვრაში.

პროგრამა იმგვარდაა შექმნილი, რომ ხელს უწყობს სტუდენტების საფუძვლიანი, თეორიული ცოდნითა და პროფესიული საქმიანობის და/ან სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევებით აღჭურვას.

პროგრამის მიერ დასახული მიზნიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგები და ამ შედეგების მიღწევისთვის გათვალისწინებული სწავლის მეთოდები. სოციოლოგიის საბაკალვრო პროგრამა 240 კრედიტს მოიცავს. ის ითვალისწინებს როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრულ კრედიტებს.

2. აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის შეფასების პროცესი განხორციელდა 2021 წლის 27 სექტემბერს. შეფასებამდე, 26 სექტემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ორგანიზებით, შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (იაგო კაჭკაჭიშვილი, მარიამ დალაქიშვილი, თამთა ცხოვრებაძე, ლანა ბოკუჩავა), რომელმაც განიხლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია. აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუების პროცესში, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

2021 წლის 27 სექტემბერს კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გაიმართა ონლაინ შეხვედრები, ზუმის ელექტრონული ფორმატის გამოყენებით. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კერძოდ, ბიბლიოთეკის დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა ონლაინ ფორმატში მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგითა და მსჯელობით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

3. საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ხუთი სტანდარტის მიხედვით, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამამ ასეთი შედეგი აჩვენა:

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - პროგრამა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან
- სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - პროგრამა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - პროგრამა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - პროგრამა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან;

საბაკალავრო პროგრამა მეტ-ნაკლებად პრობლემური აღმოჩნდა მეორე სტანდარტის (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება) 2.2. და 2.3. ქვესტანდარტებთან მიმართებით (2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი და 2.3. სასწავლო კურსი). კერძოდ, შენიშვნები გამოითქვა სასწავლო პროგრამაში არჩევითობის არასაკმარისი ხვედრითი წილის, კურსების შინაარსობრივი გადაფარვის, ცალკეულ საგნებში სასწავლო თემების არასაკმარისი რაოდენობის, კვლევითი პროექტის არასათანადო მონიტორინგისა და სტუდენტების გარე სტაჟირების პროგრამაში გაუთვალისწინებლობის მიმართულებით.

4. რეკომენდაციები

1. აუცილებელია, რომ აღმოიფხვრას გადაფარვები შემდეგ სასწავლო კურსებს შორის: თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები (მე-13, მე-14 და მე-15 კვირები) და კლასიკური სოციოლოგიური თეორიები (1-ლი, მე-2 და მე-4 კვირები).

2. აუცილებელია, რომ თანამედროვე სოციოლოგიური თეორიებისა და გვიანდელი მოდერნისა და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიების კურსების სილაბუსები გამდიდრდეს შემდეგი თეორიებით: სინთეზური თეორია (პიერ ბურდიე), ქსელური საზოგადოების თეორიები (მანუელ კასტელსი), რისკის საზოგადოება (ულრიხ ბეკი), კონფლიქტის თეორიები (დარენდორფი, კოლინზი), ნეოფუნქციონალისტები (ალექსანდერი), ფენომენოლოგიური სოციოლოგია (შუტცი).

3. პროგრამის სავალდებულო კომპონენტის - კვლევითი პროექტის - მომზადებაში ჩაერთონ პროგრამაში მონაწილე სხვა პედაგოგებიც (განსაკუთრებით ისინი, ვინც სოციოლოგიური კვლევის მეთოდებისა და სტატისტიკის კურსებს უძღვებიან). ეს უზრუნველყოფს იმას, რომ პროგრამის ამ უმნიშვნელოვანესი კომპონენტის შესრულება არ იქცეს მხოლოდ ორი ადამიანის ტვირთად, რომლის ხარისხიანი ტარებაც თითქმის შეუძლებელია ორი ადამიანის დროითი და ინტელექტუალური რესურსების რაციონალური განაწილების თვალსაზრისით. იმ შემთხვევაში, თუ რეალურად ამ კურსის განხორციელებაში ჩართულები არიან სხვა პედაგოგებიც, ეს უნდა აისახოს სილაბუსში.

5. რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. მიზანშეწონილია, გაიზარდოს არჩევითობის წილი სასწავლო პროგრამაში. ამ თვალსაზრისით, პროგრამას აქვს ორი გამოწვევა: ა) პროგრამის ე.წ. „თავისუფალი კომპონენტის“ ფარგლებში (110 ECTS კრედიტი) სავალდებულო კურსები ჯამში შეადგენს 100 კრედიტს (!); ბ) ძირითადი სწავლის კომპონენტის ფარგლებში დარგობრივი სოციოლოგია, რაიმე რაციონალურად დასაბუთებული მიზეზების დასახელების გარეშე, გაყოფილია სავალდებულო და არჩევით დარგობრივ სოციოლოგიებად.

შესაბამისად, არჩევითობის წილის გაძლიერება პროგრამაში შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: 1. გაიზარდოს პროგრამის თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითი საგნების რაოდენობა; ეს შესაძლებელია მოხდეს მეორე უცხო ენებისთვის სავალდებულო კურსების სტატუსის მოხსნით და მათი გადაქცევით არჩევით კურსებად და 2. ძირითადი სწავლის კომპონენტის ფარგლებში მოქცეული დარგობრივი სოციოლოგიები შეიძლება გახდეს სრულიად არჩევითი (მით უფრო, რომ როგორც ითქვა, სავალდებულო და არჩევით კურსებად მათი გაყოფის რაციონალური საფუძველი არ არსებობს).

2. მიზანშეწონილია, რომ სტუდენტების გარე სტაჟირება კვლევით კომპანიაში ((ერძოდ, ეისითი კვლევისა და საკონსულტაციო გლობალურ კომპანია), რომელსაც ამჟამად აქვს პარტიზანული ხასიათი, იქცეს სასწავლო პროგრამის ინსტიტუციურ და ლეგალურ ნაწილად (სავალდებულო ან არჩევითი მოდულის სახით). შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ კომპონენტს (რომელიც უდავოდ მნიშვნელოვანია სტუდენტების

პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების თალსაზრისით), მიენიჭოს ფორმალური საკრედიტო დატვირთვა.

3. სასურველია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა, როგორც პროგრამისა და სილაბუსების შექმნის, ისე მათი დახვეწის პროცესში.

4. მიზანშეწონილია, რომ მოხდეს ყველა ძირითადი სასწავლო ლიტერატურის გაციფრულება, რათა სტუდენტებისთვის ეს ლიტერატურა ხელმისაწვდომი გახდეს ელექტრონულადაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოვიდ 19-ის გამოწვეული პანდემიის პირობებში, როდესაც სწავლა მიმდინარეობს დისტანციურ რეჟიმში.

6. საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

ასეთი არ არსებობს.

7. განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ასეთი არ არსებობს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანი ადეკვატურად არის განსაზღვრული. რამდენადაც მითითებულია, რომ პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სოციოლოგიის სფეროში დაგროვილი თეორიული ცოდნის გადაცემა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ემპირიული კვლევების დაგეგმვისა და ჩატარებისათვის. უფრო კონკრეტულად, სოციოლოგიის სასწავლო პროგრამის მიზნებია: - სტუდენტს შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა საზოგადოების არსებობისა და განვითარების ძირითადი თავისებურებების, სოციალური სტრუქტურების და ინსტიტუტების, ზოგადსოციოლოგიური პრინციპების, ღირებულებების, აგრეთვე თანამედროვე საზოგადოებრივი თანაცხოვრების წინააღმდეგობებისა და განვითარების სამომავლო ტენდენციების შესახებ; - უზრუნველყოს სტუდენტების მიერ სოციოლოგიურ თეორიებს, დარგობრივ სოციოლოგიებსა და სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაში არსებული საბაზისო ცოდნის დაუფლება და მის საფუძველზე ემპირიული, კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევების გამომუშავება; - კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის აუცილებელი ეთიკური პრინციპების გაცნობიერების, კომუნიკაციის, ინდივიდუალურად და გუნდურად მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება. აღნიშნული მიზნები რეალისტურია სასწავლო პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე. კერძოდ, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს როგორც სოციალურ-თეორიული პარადიგმების, ისე სოციალური კვლევის მეთოდების საფუძვლიან ცოდნას და ხელს უწყობს ემპირიული სოციალური კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. გარდა ამისა, მიზნების განხორციელებას ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტიც. კერძოდ, სკოლის აკადემიური პერსონალი სისტემატიურად მონაწილეობს ერაზმუს+ მობილობის პროგრამებში. ამასთან, უნივერსიტეტი ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო პროექტების განხორციელებას,

უზრუნველყოფს პრაქტიკული კურსების/ტრენინგების დაფინანსებას, პერსონალის ჩართვას საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში და ვორქშოპებში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები განსაზღვრულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, შრომის ბაზარზე, როგორც ეს ჩატარებული კვლევებიდან ირკვევა. მოთხოვნადია გამოყენებადი სოციოლოგიის სპეციალისტი, რომელიც, ამავე დროს, შეიარაღებულია თეორიულ-პარადიგმატული ცოდნით, რაც მას ეხმარება ემპირიული მონაცემების სიღრმისეულ გაანალიზებაში.

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტებში აღწერილია მისი წვლილი, რომელიც, ძირითადად, მდგომარეობს იმაში, რომ პროგრამა ხელს შეუწყობს კვალიფიციური სპეციალისტების გამრავლებას შრომის ბაზარზე და ამით ხელს უწყობს დარგის განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის აღწერა;
- თვითშეფასების დოკუმეტი;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებლებთან ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს კურსდამთავრებულთა ცოდნასა და უნარებს, ასვე მათი პასუხისმგებლობის/ავტონომიურობის ხარისხს, რომელსაც პროგრამის დასრულების შედეგადაც სტუდენტი მიაღწევს. სასწავლო პროგრამის სტრუქტურა მიზნებით გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს როგორც ცალკეული კურსებით ისე, ამ კურსებს შორის კავშირებით.

კერძოდ, პოროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

1. ავლენს სოციოლოგიის სფეროს სისტემურ და საფუძვლიან ცოდნას.
2. გეგმავს და ატარებს კვლევას წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
3. აზროვნებს კრიტიკულად და აანალიზებს ინფორმაციას.
4. წარმართავს დისკუსიას და წარმოადგენს პრეზენტაციას სოციოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.
5. კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით, ავლენს სწავლის შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად საკმარის თეორიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

სასწავლო პროგრამის მიმოხილვა აჩვენებს, რომ მის კურსდამთავრებულს აქვს შესაძლებლობა მიაღწიოს სწავლის, პროგრამით გაწერილ, შედეგებს. ამ მიზანს ემსახურება 240 კრედიტიანი პროგრამა მასში გაწერილი როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნებით. პროგრამას ახლავს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომლებიც მკაფიოდ ასახავს, რომელი სასწავლო კომპონენტის მიერ სწავლის რომელი შედეგი მიიღწევა.

სწავლის შედეგების გასაზომად გამოიყენება შემდეგი ინდიკატორები:

- ✓ სტუდენტი აღწერს სოციოლოგიის შესწავლის საგანსა და სხვადასხვა თეორიულ მიდგომებს;
- ✓ სტუდენტი კრიტიკულად იაზრებს სოციოლოგიის თეორიებსა და პრინციპებს, აზროვნებს აბსტრაქტულად;
- ✓ სტუდენტი პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გაანალიზებისათვის არჩევს შესაბამისი თეორიულ მიდგომას;
- ✓ სტუდენტი ახდენს პრობლების იდენტიფიცირებას, განსაზღვრავს კვლევის მიზანს, ამოცანებსა და კვლევის რელევანტურ მეთოდს;
- ✓ სტუდენტი ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით გეგმავს კვლევას და აგროვებს მონაცემებს;

- ✓ სტუდენტი ამუშავებს და აანალიზებს მონაცემებს.
- ✓ წარმართავს დისკუსიას სხვადასხვა თემაზე და ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს;
- ✓ ამზადებს კვლევითი თუ ანალიტიკური პროექტის შედეგების ანგარიშს:
- ✓ საჯაროდ წარადგენს საკუთარ მოსაზრებებს თუ კვლევითი/ანალიტიკური პროექტების შედეგებს.

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების გზით. კერძოდ, თითოეული საგნის სილაბუსში გაწერილი შეფასების ფორმებით და კრიტერიუმებით, რომლებიც მოიცავს სასემინარო აქტივობის ზეპირ და წერით შეფასებას, შუალედურ და საბოლოო გამოცდასა, შემთხვევების ანალიზს, რეფერატების მომზადებასა და პრეზენტაციას. პრეზენტაცია კომპლექსურად და ეფექტიანად აფასებს კურსის ბოლოს სტუდენტის მიერ კურსის განმავლობაში შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნისა და საკომუნიკაციო უნარებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამის აღწერა;
- თვითშეფასების დოკუმეტი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე მიღების გამჭვირვალე კრიტერიუმები. კერძოდ, როგორც პროგრამაშია გაწერილი, ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯარო და ხელმისაწვდომია. კერძოდ, უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, კავკასიის უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს შეხვედრებს აბიტურიენტებთან მთელი ქვეყნის მასშტაბით. შეხვედრების დროს აბიტურიენტებს მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია სკოლის საბაკალავრო პროგრამების შესახებ (ზეპირი კომუნიკაციის გარდა, მათ ურიგდებათ შესაბამისი საინფორმაციო ბუკლეტები). აღნიშნული ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდზე, რომელიც დაინტერესებულ პირს სრულ ინფორმაციას აწვდის პროგრამების, მათი ღირებულების, დასაქმების და სწავლის გაგრძელების პერსპექტივების, სკოლის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საბაკალავრო პროგრამის აღწერა და პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები. აგრეთვე, პროგრამაზე მიღების წინაპირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არსებობს
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, არსებითად, შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდოლოგიის გამოყენებით. რც შეეხება პროგრამის შინაარსობრივ მხარეს, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის შინაარსი და საკრედიტო დატვირთვა სტუდენტს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ დაეუფლოს სოციოლოგიის საფუძვლებს და გამოიმუშავოს სოციალური პრობლემების სოციოლოგიური კვლევისა და ანალიზის საბაზო უნარ-ჩვევები. შესაბამისად, პროგრამა არსებითად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგება: • ე.წ. „თავისუფალი კომპონენტისგან“, რომელშიც შედის: ა) ზოგადსაუნივერსიტეტო და ძირითადი სპეციალობის დამხმარე სასწავლო კურსები (სავალდებულო); ბ) ზოგადი ინგლისური ენა (სავალდებულო); გ) პროფესიული ინგლისური ენა (სავალდებულო) გ) მეორე უცხო ენა (სავალდებულო); დ) ზოგადი არჩევით სასწავლო კურსები • ე.წ. „ძირითადი სწავლი კომპონენტი”, რომელშიც შედის: ა) სოციოლოგიური თეორიები (სავალდებულო); ბ) სოციოლოგიური კვლევის მეთოდები (სავალდებულო); გ) დარგობრივი სოციოლოგია (სავალდებულო); დ) დარგობრივი სოციოლოგია (არჩევითი)

სასწავლო პროგრამის ე.წ. „თავისუფალი კომპონენტი“ ჯამურად მოიცავს 110 ECTS კრედიტს, ხოლო ძირითადი სწავლის კომპონენტი - 130 ECTS კრედიტს. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალობის (ანუ, ძირითადი სწავლის სფეროს) სავალდებულო და არჩევით საგნებს, უმეტეს შემთხვევაში, კითხულობენ დარგის (სოციოლოგიის) სპეციალისტები, რომელთაც აკადემიური (საბაკალავრო/სამაგისტრო) ან სამეცნიერო (დოქტორის) ხარისხები აქვთ მოპოვებული სოციოლოგიაში. პროგრამის ხელმძღვანელს მოპოვებული აქვს სადოქტორო ხარისხი სოციოლოგიაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები მტკიცებულებებს/ინდიკატორებს, მოცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის აღწერა, პროგრამაში ჩართული პედაგოგების ბიოგრაფიები და პროგრამის მესვეურებთნ (პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: არ არსებობს
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: მიზანშეწონილია გაიზარდოს არჩევითობის წილი სასწავლო პროგრამაში. ამ თვალსაზრისით, პროგრამას აქვს ორი გამოწვევა: ა) პროგრამის ე.წ. „თავისუფალი კომპონენტის“ ფარგლებში (110 ECTS კრედიტი) სავალდებულო კურსები ჯამში შეადგენს 100 კრედიტს (!); ბ) ძირითადი სწავლის კომპონენტის ფარგლებში დარგობრივი სოციოლოგია, რაიმე რაციონალურად დასაბუთებული მიზეზების დასახელების გარეშე, გაყოფილია სავალდებულო და არჩევით დარგობრივ სოციოლოგიებად. შესაბამისად, არჩევითობის წილის გაძლიერება პროგრამაში შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: 1. გაიზარდოს პროგრამის თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში არჩევითი საგნების რაოდენობა; ეს შესაძლებელია მოხდეს მეორე უცხო ენებისთვის სავალდებულო კურსების სტატუსის მოხსნით და მათი გადაქცევით არჩევით კურსებად და 2. ძირითადი სწავლი კომპონენტის ფარგლებში მოქცეული დარგობრივი სოციოლოგიები შეიძლება გახდეს სრულიად არჩევითი (მით უფრო, რომ, როგორც ითქვა, სავალდებულო დაარჩევით კურსებად მათი გაყოფის რაციონალური საფიძველი არ არსებობს).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არსებობს
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები (სავალდებულო და არჩევითი) შეესაბამება პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებს. კურსების საკრედიტო მოცულობა უზრუნველყოფს კურსით გათვალისწინებული თემების დაუფლებას. სილაბუსებში გაწერილი ლიტერატურა ძირითადად პასუხობს სილაბუსით გაწერილ თემებს და აცნობს სტუდენტებს მოცემული დარგის თანამედროვე მიღწევებს. სასწავლო კურსებში ფიქსირდება შინაარსობრივი გადაფარვები. კერძოდ გადაფარვაა თანამედროვე სოციოლოგიური თეორიების სილაბუსსა და კლასიკური სოციოლოგიური თეორიების სილაბუსებს შორის: კლასიკურ სოციოლოგიურ თეორიებში მე-13, მე-14 და მე-15 კვირები ეთმობა პარსონსის სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს და რობერტ მერტონის თეორიებს. ამავე საკითხებს ეხება მოდერნული სოციოლოგიური თეორიების კურსის 1-ლი, მე-2 და მე-4 კვირების თემები . თანამედროვე სოციოლოგიურ თეორიებს აკლია მნიშვნელოვანი მოაზროვნეები: სინთეზური თეორია (პიერ ბურდიე), ქსელური საზოგადოების თეორიები (მანუელ კასტელსი), რისკის საზოგადოება (ულრიხ ბეკი), კონფლიქტის თეორიები (დარენდორფი, კოლინზი), ნეოფუნქციონალისტები (ალექსანდერი), ფენომენოლოგიური სოციოლოგია (შუტცი) და სხვ. ეს უკანასკნელი თეორიები არ არის ჩართული არც თანამედროვე სოციოლოგიური თეორიების და არც გვიანდელი მოდერნისა და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიების კურსში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საბაკალავრო პროგრამის აღწერა, თვითშფასების ანგარიში, სასწავლო კურსების სილაბუსები და პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: 1. აუცილებელია, რომ აღმოიფხვრეს გადაფარვები შემდეგ კურსებს შორის: თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები (მე-13, მე-14 და მე-15 კვირები) და კლასიკური სოციოლოგიური თეორიები (1-ლი, მე-2 და მე-4 კვირები). 2. აუცილებელია, რომ თანამედროვე სოციოლოგიური თეორიებისა და გვიანდელი მოდერნისა და პოსტმოდერნული სოციოლოგიური თეორიების კურსების სილაბუსები

გამდიდრდეს შემდეგი თეორიებით: სინთეზური თეორია (პიერ ბურდიე), ქსელური საზოგადოების თეორიები (მანუელ კასტელსი), რისკის საზოგადოება (ულრიხ ბეკი), კონფლიქტის თეორიები (დარენდორფი, კოლინზი), ნეოფუნქციონალისტები (ალექსანდერი), ფენომენოლოგიური სოციოლოგია (შუტცი).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არსებობს
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის სასწავლო პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომლებიც აუცილებელია ემპირიული სოციოლოგიური კვლევების ჩასატარებლად. სოციოლოგია, თეორიულთან ერთად, გამოყენებითი მეცნიერებაა, რომელიც მოითხოვს ემპირიული კვლევის მეთოდების ცოდნას და მათ პრაქტიკაში გამოყენებას. ამ მიმართულებით, პროგრამა მოიცავს შემდეგ სავლდებულო კურსებს: • სტატისტიკა სოციალური მეცნიერებებში • თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I • თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II • რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები I • რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები II • SPSS პროგრამა • კვლევითი პროექტის მომზადება

აღნიშნული კურსების საკრედიტო მოცულობა ჯამში შეადგენს 40 კრედიტს, რაც სავსებით საკმარისია ემპირიული სოციოლოგიური კვლევის ადეკვატური უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროგრამა უზრუნველყოფს ტრანსფერული უნარების განვითარებას - კერძოდ, ითვალისწინებს სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის მიზანმიმართულ და გააზრებულ გადატანას პრაქტიკაში, კვლევებში.

გარდა ამისა, პროგრამა გულისხმობს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას, რომელიც ეფუძნება თეორიეული და გამოყენებითი კვლევების სინთეზს.

აღსანიშნავია ორი გარემოება:

1. კვლევითი პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელია ორი პირი. ამ კურსის სილაბუსში ლექტორებად ჩაწერილია 2 პროფესორი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ისინი უძღვებიან კვლევითი პროექტების მომზადებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ა) კვლევითი პროექტის მომზადება სასწავლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტია და თითოეული სტუდენტი ვალდებულია ჩაატაროს კვლევა ყველა ეტაპის შესრულებითა და საბოლოო კვლევითი ანგარიშის მომზადებით (რაც შრომატევადი საქმეა, მათ შორის, კვლევითი პროექტის შესრულების ხარისხის მონიტორინგის თვალსაზრისით) და ბ) პროგრამას ჰყავს ათეულობით სტუდენტი - არასაკმარისია მხოლოდ ორი პროფესორის დროითი და ინტელექტუალური რესურსების რაციონალური განაწილება, სასურველი შედეგის მისაღწევად.

2. პროგრამის ხელმძღვანელთან და კვლევის მეთოდების კურსების პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გაიარონ გარე სტაჟირება კვლევით ორგანიზაციაში (კერძოდ, ეისითი კვლევისა და საკონსულტაციო გლობალურ კომპანიაში). თუმცა, სასწავლო პროგრამაში ეს კომპონენტი საერთოდ არ ჩანს და პროგრამის ამ უდავოდ ღირებულ შესაძლებლობას არანაირი საკრედიტო დატვირთვა (ე.ი. ინსტიტუციური გამოხატულება) არ აქვს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

საბაკალავრო პროგრამის აღწერა, თვითშეფასების ანგარიში, სასწავლო კურსების სილაბუსები და პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, პროფესორ-მასწავლებლები) ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

პროგრამის სავალდებულო კომპონენტის - კვლევითი პროეტის - მომზადებაში ჩაერთონ პროგრამაში მონაწილე სხვა პედაგოგებიც (განსაკუთღებით ისინი, ვინც სოციოლოგიური კვლევის მეთოდებისა და სტატისტიკის კურსებს უძღვებიან). ეს უზრუნველყოფს იმას, რომ პროგრამის ამ უმნიშვნელოვანესი კომპონენტის შესრულება არ იქცეს მხოლოდ ორი

ადამიანის ტვირთად, რომლის ხარისხიანი ტარებაც თითქმის შეუძლებელია ორი ადამიანის დროითი და ინტელექტუალური რესურსების რაციონალური განაწილების თვალსაზრისით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მიზანშეწონილია, რომ სტუდენტების გარე სტაჟირება კვლევით კომპანიაში ((კერძოდ, ეისითი კვლევისა და საკონსულტაციო გლობალურ კომპანია), რომელსაც ამჟამად აქვს პარტიზანული ხასიათი, იქცეს სასწავლო პროგრამის ინსტიტუციურ და ლეგალურ ნაწილად (სავალდებულო, ან არჩევითი მოდულის სახით). შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ კომპონენტს (რომელიც უდავიდ მნიშვნელოვანია სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების თალსაზრისით), მიენიჭოს ფორმალური საკრედიტო დატვირთვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ არსებობს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არსებობს.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა იყენებს სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდს. კერძოდ, თეორიეული კურსებისთვის გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი (რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთებას, მასალის დაკონსპექტებას, თეზისების შედგენას, რეფერატის ან ესსეს შესრულებას და ა.შ.), დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი და სხვ.

აღნიშნული მეთოდები რელევანტურია ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამისთვის და მიმართულია სტუდენტების ინდივიდუალური უნარ-ჩვევების გამოვლენაზე.

რაც შეეხება კვლევის მეთოდებისა და სოციოლოგიის პრაქტიკუმის კურსს, ამ შემთხვევაში აქტიურად გამოიყენება პრაქტიკული მუშაობისა და ჯგუფური მუშაობის მეთოდები. ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები საბაკალავრო პროგრამის აღწერა, თვითშფასების ანგარიში და პროგრამის მესვეურებთან (პროგრამის ხელმძღვანელები, ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არსებობს.
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება განხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან. ამასთან, დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%. პროგრამა უზრუნველყოფს სასწავლო კურსის შეფასების მიზნით, სემესტრის ბოლოს სტუდენტების გამოკითხვას. სტუდენტებს ეძლევათ სპეციალური კითხვარი შესავსებად, გამოკითხვას ატარებს თვით ლექტორი სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლების და შეფასების მეთოდების განვითარების და საკუთარი კომპეტენციების გაუმჯობესების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სოციოლოგიის ბაკალავრის პროგრამის - შეფასების მეთოდების რუკა; • კავკასიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა; • სასწავლო სილაბუსები • ინტერვიუ ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) არ იკვეთება
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ იკვეთება
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტში არსებული ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებათა სკოლის სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი სწავლის ყველა ეტაპზე იღებს სათანადო ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ. უსდ-ს შემუშავებული აქვს კატალოგი, ანუ საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა, სადაც წარმოდგენილია აუცილებელი ინფორმაცია უნივერსიტეტის სკოლებში მოქმედი პროგრამების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, ამ საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ. უსდ-ს ვებ-გვერდზე მოიპოვება უნივერსიტეტის განახლებული აკადემიური კალენდარი, სადაც აღნიშნულია ყველა მნიშვნელოვანი თარიღი, როგორიცაა სტუდენტების რეგისტრაცია და გვიანი რეგისტრაცია, სალექციო პერიოდი, შაულედური და ფინალური გამოცდების პერიოდი და სხვა. კავკასიის უნივერსიტეტს აქვს ჩამოყალიბებული სტუდენტური კლუბები, რომელთა თაობაზეც ინფორმაცია მოწოდებულია ვებ-გვერდზე. აღსანიშნავია, რომ კავკასიის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ომბუდსმენის ოფისი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა უნივერსიტეტის სტუდენტების ლეგიტიმური ინტერესების დაცვა. ვებ-გვერდზე მოცემულია ომბუდსმენის ოფისის საკონტაქტო ინფრომაცია, რაც ასევე ღია წვდომაშია სტუდნეტებისთვის. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების სხვადსხვა საკითხებზე ინფორმირება ხდება სრულად და ამაში მონაწილეობს სტუდენტთა მომსახურების ცენტრი. ცენტრში დასაქმებულები არიან უნივერსალური კვალიფიკაციის მქონე მენეჯერები.

აღსანიშნავია ასევე, რომ კავკასიის უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება დასაქმების ფორუმი კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის, სადაც მონაწილეობას იღებს არაერთი წამყვანი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დებულება ○ უნივერსიტეტის აკადემიური კალენდარი ○ უსდ-ს ოფიციალური ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **[redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერისტეტს საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმალური რაოდენობის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებული აქვს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია. სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა არის ამ მეთოდლოგიასთან შესაბამისობაში - პროგრამაში ჩართულია სულ 37 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის 12 აკადემიური და 25 მოწვეული ლექტორი. აკრედიტაციის ექსპერტებისათვის წარმოდგენილ დოკუმენტებსა და ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სოციოლოგიის პროგრამაში ჩართულ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, რომ სწავლის შედეგების შესაბამისად გამოუმუშაოს სტუდენტებს კომპეტენციები. დარგობრივ საგნებში, მოწვეულთა წილიდან გამომდინარე რამდენჯერმე დაისვა კითხვა პროგრამის მდგრადობასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან და პერსონალთან შეხვედრისას გამოვლინდა, რომ პროგრამის განმახორციელებლებიც ხედავენ ამ მიმართულებით აკადემიური პერსონალის მოზიდვის საჭიროებას და აქვთ შესაბამისი ხედვა. თვითშეფასების დოკუმენტისა და შეფასების პროცესში განხორციელებული ინტერვიუების თანახმად, სოციოლოგიის საბაკალვრო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ჩართულია პროგრამაზე მუშაობისა და განხორციელების პროცესში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს პერსონალთან შეხვედრისას გამოკვეთილი გარემოება, რომ მოწვეული და აკადემიური პერსონალი კარგად არ იცნობს განახლებულ პროგრამაში თავისი კურსის სტატუსს, სწავლების მეთოდებსა და აშ. ასევე, სწავლ/სწავლების ზოგიერთი მეთოდი ფორმალურადაა გაწერილი სილაბუსებში, თუმცა, როგორც ინტერვიუებიდან ირკვევა, რეალურად ისინი ყოველთვის არ გამოიყენება (ასეთია, მაგალითად ე.წ. „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“ – PBL), რომელსაც, სილაბუსში აღნიშვნის მიუხედავად, ზოგიერთი ლექტორი არ იყენებს. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზით, შეიძლება ითქვას, რომ მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურა და პერსონალის შრომის გადანაწილება უზრუნველყოფს სტუდენტებს სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმები; ○ პროგრამების განხორციელების წესი; ○ მოწვეული და აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეტი ჩართულობა, როგორც პროგრამისა და სილაბუსების შექმნის, ისე მათი დახვეწის პროცესში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
უსდ-ს აქვს სასწავლო პროგრამაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის შეფასების მექანიზმი. პროგრამის შეფასების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრებიდან შეიძლება ითქვას, რომ უსდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად იყენებს შეფასებებს და მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გეგმავს სწავლებაში ჩართული პერსონალის განვითარების სამომავლო სტრატეგიას. დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნიბით, კავკასიის უნივერსიტეტში ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ფუნქციონირებს კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი. ასევე, უნივერსიტეტში მოქმედებს საუნივერსიტეტო შიდა დაფინანსების წესი, რომლის თანახმადაც წელიწადში ორჯერ ცხადდება კვლევებისთვის კონკურსი, შიდა დაფინანსებაზე. ადმინისტრაციისა და პერსონალის თქმით, სამეცნიერო საქმიანობის წახალისების მიზნით, უსდ-მ შეიმუშავა აფილირებული პერსონალისათვის ანაზღაურებადი აქტივობები, რაც კვლევით საქმიანობაში სამომავლოდ მათ ჩართულობას კიდევ უფრო გაზრდის. შეფასების პროცესის ფარგლებში განხორციელებულ ინტერვიუებსა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, კავკასიის უნივერსიტეტში ტარდება როგორც საერთაშორისო, ისე სტუდენტური კონფერენცია. აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესებში და აქტიურად მონაწილეობს Erasmus+ მობილობაში.
○ მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დაწესებულებაში ვიზიტისას მიღებული ინფორმაცია; ○ საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენება; ○ კითხვარი აკადემიური პერსონალისათვის; ○ საერთაშორისო მობილობის სტატისტიკა; ○ უნივერსიტეტის მემორანდუმები, შეთანხმებები; ○ პერსონალის განვითარების ღონისძიებების 2020 ანგარიში; ○ კვლევითი საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი და პროცედურა.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვინაიდან, პანდემიის პირობებში პროგრამის შეფასება განხორციელდა თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მატერიალური რესურსების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება ექსპერტთა მხრიდან შემოიფარგლა თვითშეფასების ანგარიშით და ინტერვიურების მიმდინარეობისას ინფორმაციის დაზუსტებით.

კავკასიის უნივერსიტეტში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

უსდ-ში არსებობს როგორც კამპუსში განთავსებული ბიბლიოთეკა, ასევე ელექტრონულიც. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი, სადაც შესაძლებელია ვებ-გვერდიდან მოიძიონ ინფრომაცია საჭირო სახელმძღვანელოებზე. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ასევე უნივერსიტეტს აქვს წვდომა სხვადასხვა საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებზე, მაგ. EBSCO HOST, ScienceDirect, Scopus, Sci-val Funding (Funding Institutional), HeinOnline, Taylor and Francis და Math Scientific Publishing (MSP)-Journals. შემოწმებამ აცენა, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სილაბუსებით განსაზღვრული ლიტერატურა - როგორც

ელექტრონულად, ისე ფიზიკურად. თუმცა, მეორე მხრივ, ისიც დადასტურდა, რომ ზოგიერთი სილაბუსისთვის განსაზღვრული ლიტერატურა მოითხოვს გაციფრულებას, რათა ხელმისაწვდომი იყოს ელექტრონულად სტუდენტებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბიბლიოთეკო რესურსი; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ვიზიტის ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია, რომ მოხდეს ყველა ძირითადი სასწავლო ლიტერატურის გაციფრულება, რათა სტუდენტებისთვის ეს ლიტერატურა ხელმისაწვდომი გახდეს ელექტრონულადაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოვიდ 19-ის გამოწვეული პანდემიის პირობებში, როდესაც სწავლა მიმდინარეობს დისტანციურ რეჟიმში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან მიღებულ შემოსავალსა და პროგრამის ფუნქციონირების ხარჯებს. გარდა სწავლების ხარჯისა, ბიუჯეტი ასევე მოიცავს პროგრამის ადმინისტრირების ხარჯს, საკონფერენციო და კვლევით დანახარჯებს, ინტერნაციონალიზაციის აქტივობებისათვის გამოყოფილ თანხებს და ლიტერატურის ხარჯს. საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილი მონაცემები, ასევე პროგრამიდან მოგების მაჩვენებელი, ცხადყოფს პროგრამის მდგრადობას, რაც ასევე დადასტურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია შესაბამისი თანხა, რომელიც განიკარგება მინიმალური სტუდენტთა რაოდენობის არსებობის შემთხვევაში და უზრუნველყოფს პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფარვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე.“ უსდ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი, რომელიც მოიცავს პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ეტაპებს. ამასთან, პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის შეფასების მეთოდოლოგია აერთიანებს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამის პერიოდული შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ წინასწარ განსაზღვრული პროცედურის და შეფასების ფორმის მიხედვით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მჭიდროდ თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების განხორციელების პროცესში. მიღებული შედეგები კი გამოიყენება პროგრამის შეფასების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

როგორც ონლაინ ვიზიტისას განხორციელებულმა ინტერვიუებმა და პროგრამაზე წარმოდგენილმა დოკუმენტაციებმა ცხადჰყო, პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესში აქტიურად არის გამოყენებული სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ატარებს როგორც ყოველწლიურ სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვას, ასევე ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრებს. მიღებული შედეგები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების და მისი ეფექტური განხორციელებისათვის აუცილებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესებას. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის, პერიოდულად ტარდება შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. პროგრამის შეფასების განხორციელებისას მიღებული რეკომენდაციები, გარე შეფასება, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მონაცემები გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესისა და პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- გამოკითხვის შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

● შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ გარე ხარისხის შეფასებისათვის იყენებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს და გარე ექსპერტის შეფასებას. შეფასებების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ ხდება შესაბამისი ღონისძიებების ინიცირება და სხვა შესაბამის სამსახურებთან ერთად დაგეგმვა-განხორციელება. პროგრამაზე თანდართული დოკუმენტებისა და ონლაინ ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, გამოიკვეთა უსდ-ს მიერ პროგრამების შემუშავება/განვითარების პროცესში გარე შეფასების გამოყენებისა და სხვადასხვა წამყვანი უნივერსიტეტის გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა რეაკრედიტაციის პროცესში დადარებულ იქნა 3 საერთაშორისო და 1 ადგილობრივი უნივერსიტეტის პროგრამებთან. საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილების გაზიარებამ აჩვენა, რომ პროგრამებს ბევრი საერთო გააჩნიათ სასწავლო კურსებსა და პროგრამის შინაარსთან მიმართებაში, თუმცა არის გარკვეული განსხვავებები ზოგადსაუნივერსიტეტო საგნებთან მიმართებით. ბენჩმარკინგის შედეგები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის სტრუქტურის ჩამოყალიბებისას და სავალადებულო და არჩევითი საგნების განაწილების პროცესში. ამასთან, პროგრამა გარე შეფასების მიზნით, გაეგზავნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, რომელიც ასევე გახლდათ ჩართული კონსულტანტის რანგში პროგრამის თავდაპირველი შემუშავების ეტაპზე. გარე ექსპერტის დასკვნიდან გამომდინარე, გარდა პროგრამის შინაარსობრივი საკითხებისა, დადებითად იქნა შეფასებული პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესში განხორციელებული ცვლილებები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ხარისხი და პროგრამის შესაძლებლობები, დააკმაყოფილოს ჩართული მხარეების მოთხოვნები პროგრამასთან მიმართებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანარიში; • ინტერვიუს შედეგები; • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენის დებულება; • გარე ექსპერტების შეფასება; • ბენჩმარკინგის ანგარიში.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით, რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შედეგად, ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას. ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების ყველა შესაბამის სამუშაო ეტაპზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევისა და დამსაქმებლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე, მუდმივად ხორციელდება პროგრამების გაუმჯობესება, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. უსდ-ში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება საგანამანთლებლო პროგრამების დადარება ანალოგიურ პროგრამებთან, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და თანამედროვე სტანდარტებთან და

მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სამიზნე უნივერსიტეტები შერჩეულია დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინებით წარმატების მაჩვენებლების შესაბამისად. ვინაიდან პროგრამა სააკრედიტაციო რეჟიმშია, პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით რეაკრედიტაციისათვის გათვალისწინებული იქნება რიგი ცვლილებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; • დაინტერესებულ მხარეთა ამოკითხვის ფორმები და შედეგები; • თვითშეფასების სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: კავკასიის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 35 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე</u>

იაგო კაჭკაჭიშვილი

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი:</u>

მარიამ დალაქიშვილი

თამთა ცხოვრებაძე

ლანა ბოკუჩავა